პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 108 (5138)

1974 წ. 2 ივნისი, კვირა.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩები

## პარტია გადაიდო

კისლოვოდსკი, 31 მაისი. დღეს სანატორიუმ „როდინას" დარბაზში შედგა ვ. კოზლოვსკაია (პიატიგორსკი) — ი. ლევიტინას (ლენინგრადი) ნახევარფინალური საჭადრაკო მატჩის მესამე პარტია. იგი გადაიდო ლევიტინას უპირატესობით — ლენინგრადელს 2 ზედმეტი პაიკი აქვს.

## დასკვნითს ეტაპზე

31 მაისს შიაულიაიში დაიწყო ხელბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტური, რომელიც გამოავლენს სსრ კავშირის 1974 წლის ჩემპიონს.

პირველი დღის მატჩები ასე დამთავრდა: „სპარტაკი" (კიევი) — „პეტროგრადეცი" (ლენინგრადი) 26:8 (12:1), „ლუჩი" (მოსკოვი) — „ოსვიტა" (ჩერკასი) 20:12 (13:4), სპორტნაწარმის ფაბრიკა (ბაქო) — № 3 სახლსაშენებელი კომბინატი (კიევი) 20:15 (11:8), უპი (სვერდლოვსკი) — „ისკოჟი" (კიშინიოვი) 21:17 (12:6), „ჟალგირისი" (კაუნასი) — „ტეხნოლოგი" (მინსკი) 17:12 (9:5).

თითოეულმა გუნდმა 5-5 მატჩი უნდა გამართოს. ბოლო შეხვედრები 5 ივნისს ჩატარდება.

## საქართველოს 1974 წლის ჩემპიონები მეკლდეურობაში



ვ. საბანიძე



ი. თურმანიშვილი



ლ. ბურჩიანი



ა. ხერგიანი

## მშვილდოსანთა ოლიმპიური სამიზნეები

საბჭოთა სპორტსმენმა გ. არხიპოვამ და დანიელმა ა. იაკობსენმა გაიმარჯვეს მშვილდოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში „გაზაფხულის ისრები", რომელიც მოსკოვში დამთავრდა 26 მაისს. არხიპოვამ ოთხ დღეში მრავალჭიდში 2337 ქულა დააგროვა 2880 შესაძლებლიდან, იაკობსენმა კი — 2292.

კვირას შეჯიბრების დაწყებისას წვიმა წამოვიდა. 32 წლის არნე იაკობსენმა წარბი შეიკრა და შუბლზე უფრო ჩამოიფხატა მუშამბის პანამა. მზე რომ არ გამოსულიყო, არ ვიცით, შეინარჩუნებდა თუ არა ლიდერობას დანიის ექვსგზის ჩემპიონი. კვირას ძალიან კარგად გამოვიდა „წვიმის მეფე", როგორც ამ შეჯიბრებაში ხუმრობით უწოდეს მსოფლიო ჩემპიონს, კიეველ ვ. სიდორუკს (24 მაისს, როცა გადაუღებლად წვიმდა, მან XXIV ადგილიდან პირდაპირ მეორეზე გადაინაცვლა).

მაგრამ დანიელმა, კოპენჰაგენის მახლობლად მდებარე პატარა ქალაქის ფრედერიკშავირის მკვიდრმა, ლიდერობა არ დათმო. სიდორუკი, რომელიც პირველი დღის შემდეგ იაკობსენთან 58 ქულას აგებდა, ჯამში მას 22 ქულით ჩამორჩა და II ადგილი დაიკავა. III ადგილზეა პიარნუელი მ. ვაიკიარვი — 2235.

ხელი მოეცარა ქალთა ლიდერის მდევარსაც. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, პოლონელი მარია მანჩინსკა 20 ქულით ჩამორჩა სსრ კავშირის 1972 წლის ჩემპიონს, ჩიტელ მასწავლებელს არხიპოვას. III ადგილზეა შარშანდელ ტურნირში გამარჯვებული, ლვოველი ვ. კოვპანი — 2257.

ეს საგაზაფხულო შეჯიბრება მუდამ რაღაც სიურპრიზს გვთავაზობს. ამჯერადაც ასე იყო. 18 წლის დუშანბელმა სტუდენტმა ზ. რუსტამოვამ, რომელიც პირველად მონაწილეობდა ასეთ დიდ ასპარეზობაში, ყველას აჯობა 30-მეტრიან დისტანციაზე — 652 ქულა.

რუსტამოვას გარდა, ცალკეულ დისტანციებზე პირველობდნენ: 70 მ — არხიპოვა (551 ქულა); 60 მ — მანჩინსკა (591), 50 მ — არხიპოვა (562), 90 მ — მ. ზაიცევი (470), 70 მ — იაკობსენი (576), 50 და 30 მ — სიდორუკი (610 და 667).

„გაზაფხულის ისრები" ძალიან მოეწონა მშვილდოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (ფიტა) პრეზიდენტს, ქალბატონ ი. ფრიტს (ინგლისი). მას მოეწონა ტურნირის ორგანიზაცია, ელექტრულ-გამომთვლელი მანქანის და მისი მომსახურე პერსონალის სისწრაფე მშვილდოსანთა შედეგების დამუშავების დროს (თითოეული 288 ჩასათვლელ ისარს ისროდა). ფრიტმა აღნიშნა, რომ ლუჟნიკის სტადიონი ძალიან ლამაზი და მოხერხებულია, ხოლო მოსკოვში დიდი სპორტული მშენებლობაა გაშლილი. საკდესის კორესპონდენტს მან უთხრა: „მოსკოვი ღირსია, რომ მასპინძლობა გაუწიოს 1980 წლის ოლიმპიურ თამაშებს. ამ დღეებში მე ლოზანას მივემგზავრები საერთაშორისო სპორტული ფედერაციების გენერალურ ასამბლეაზე და იქ გამოვთქვამ ჩემს აზრს. ძალიან მინდა, საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქი ოლიმპიურ სამოსელში გამოწყობილი ვნახო".

ვ. პიმენოვი,
ი. საიკო.
(საკდესის კორ.).

მოსკოვი.

## ახალგაზრდული სკოლა — ჩემპიონი

31 მაისს თბილისის „დინამოსა" და ტაშკენტის „ფახთაქორის" კალენდარული მატჩის წინ შედგა მოზარდ ფეხბურთელთა რესპუბლიკური ჩემპიონატის ფინალური შეხვედრა: გადამწყვეტ ბრძოლაში I ადგილის პრეტენდენტები იყვნენ თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდი და ბათუმის „დინამო".

ბათუმელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მასპინძლებს, რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს მათ კართან, თუმცა საერთო უპირატესობა თბილისელებს ჰქონდათ, ამასთან მათ პირველ ტაიმში ვერ შეძლეს 11-მეტრიანის გამოყენება.

მატჩის ძირითადი დრო დამთავრდა უშედეგოდ — 0:0. გამარჯვებულის გამოსავლენად საჭირო შეიქნა დამატებითი პენალტების შესრულება. თბილისელებმა ხუთივე 11-მეტრიანი ზუსტად გამოიყენეს, დინამოელთა ბოლო, მეხუთე პენალტი კი აიღო მეკარე მაყაშვილმა. საერთო ანგარიშით 5:4 წარმატება წილად ხვდა ახალგაზრდულ საფეხბურთო სკოლის გუნდს.

იმავე დღეს, ქუთაისის ტორპედოელებმა ანგარიშით 2:1 დაამარცხეს შარშანდელი ჩემპიონი — თბილისის განათლების განყოფილების სპორტსკოლის გუნდი. ეს 3 კოლექტივი მონაწილეობას მიიღებს მოზარდ ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშებაში.

„ლოკომოტივის" სტადიონზევე მოხდა გამარჯვებულთა დაჯილდოება. ჩემპიონის თასი და I ხარისხის დიპლომები გადაეცათ თბილისის ახალგაზრდული სკოლის ფეხბურთელებს, აგრეთვე, მათ მწვრთნელებს — სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ვ. ელოშვილს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს თ. თანანაშვილს. შესაბამისი ხარისხის დიპლომებით დაჯილდოვდნენ ბათუმის დინამოელები (მწვრთნელი — ლ. ვერულიძე) და ქუთაისის ტორპედოელები (მწვრთნელები — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი კ. ხურციძე და დ. თოდაძე).

• • •



სურათზე: საქართველოს ჩემპიონი, თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

## რეზერვი გამოჩნდა

თბილისში ჩატარდა რესპუბლიკური პირად-გუნდური პირველობა სასტენდო სროლაში, რომელშიც ოცდაოთხი იუნიორი მონაწილეობდა. სარბიელზე ვიხილეთ მხოლოდ ერთი მსროლელი ქუთაისიდან, დანარჩენები სამხედრო მონადირეთა საზოგადოების, მონადირეთა კავშირისა და „ლოკომოტივის" წარმომადგენლები იყვნენ.

კარგად მომზადებული ახალგაზრდობა გამოიყვანეს ამიერკავკასიის სამხედრო-მონადირეთა საზოგადოებამ და მონკავშირმა. გუნდური პირველობა როგორც ადგილიდან, ისე მრგვალ სტენდზე სროლაში არმიელმა სპორტსმენებმა მოიპოვეს. II ადგილზე გავიდა მონადირეთა კავშირი, III — „ლოკომოტივი".

არმიელმა სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ვ. ამირხანოვმა ადგილიდან სროლაში 100-დან 95 სამიზნე დააზიანა და პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი, II ადგილზეა მისი თანაგუნდელი, პირველთანრიგოსანი ნ. დილმელაშვილი — 91 (შეასრულა სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი), III—პირველთანრიგოსანი გ. ნახუცრიშვილი (მონადირეთა კავშირი) — 84.

მრგვალ სტენდზე სროლაში შეჯიბრება მოიგო საქართველოს ნაკრები გუნდის წევრმა, არმიელმა სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ა. სეროვმა — 94. მონკავშირის წარმომადგენელი, პირველთანრიგოსანი ვ. შეროზია მას 3 ქულით ჩამორჩა. III ადგილზე გავიდა პირველთანრიგოსანი რუსუდან მაჩხანელი (ასკ) — 83. შეროზიამ და მაჩხანელმა პირველად შეასრულეს სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი. რუსუდანს არც მისი უმცროსი ძმა გია ჩამორჩა. 13 წლის ბიჭმა 25-დან 18 სამიზნე დაამსხვრია და მეორეთანრიგოსანი გახდა.

ჯ. მოწონელიძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

## მეტრეველის მეორე გამარჯვება

იტალიის ღია ჩემპიონატში წარმატებით გამოდიან საბჭოთა ჩოგბურთელები ო. მოროზოვა და ა. მეტრეველი. შეჯიბრების მეორე წრეში მეტრეველმა დაამარცხა ამერიკელი ჩ. პასარელი — 6:3, 6:4. მოროზოვამ მოუგო ფრანგ გ. შანფროს — 6:3, 6:1. მეორე საბჭოთა ჩოგბურთელმა ვ. კოროტკოვმა წააგო ამერიკელ ე. ვან დილენთან — 6:7, 6:7. ძალიან დაძაბულ ბრძოლაში რუმინელმა ი. ნასტასემ დაამარცხა ინდოელი ვ. ამრიტრაჯი — 6:2, 3:6, 7:5.

## შანიძე — II ადგილზე

იტალიის ქალაქ ვერონაში გრძელდება ევროპის ძალოსანთა ჩემპიონატი. დაძაბული ბრძოლა გაიმართა ქვემსუბუქი წონის ძალოსანთა შორის. ორმა ათლეტმა — დ. შანიძემ (სსრ კავშირი) და ბულგარელმა გ. ტოდოროვმა ორჭიდის ჯამში ერთნაირი შედეგი აჩვენეს — 272,5 კგ დააგროვეს, მაგრამ ევროპის ჩემპიონი ბულგარელი გახდა, რადგან იგი მეტოქეზე მსუბუქი იყო. III ადგილი წილად ხვდა ბულგარელ ნ. ნურიკიანს — 265 კგ.

● იოკოჰამა, 29 მაისი. იაპონიაში გამართული ტურნეს ბოლო, მეექვსე მატჩში სსრ კავშირის ფრენბურთელ ვაჟთა ნაკრებმა ანგარიშით 3:1 (15:8, 15:5, 10:15, 15:8) სძლია მასპინძელი ქვეყნის „ბ" ნაკრებს. ტურნეს საერთო ანგარიშია 5:1 საბჭოთა ფრენბურთელთა სასარგებლოდ.

● ნეაპოლი, 31 მაისი. წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირის ფინალური მატჩი უიღბლო გამოდგა საბჭოთა გუნდისთვის. იტალიის ნაკრებთან გადამწყვეტი შეხვედრა მან წააგო ანგარიშით 8:4 და II ადგილი დაიკავა. III ადგილისთვის ბრძოლა გაიმართა იუგოსლავიისა და რუმინეთის წყალბურთელებს შორის. მატჩი დამთავრდა ფრედ — 8:8. ვინაიდან რუმინელებს ბურთების სხვაობა უკეთესი აღმოაჩნდათ, საპრიზო ადგილიც მათ ხვდათ წილად.

● ჰელსინკი, 31 მაისი. აშშ-ს კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებმა აქ მეორე მატჩი ჩაატარა ფინეთის ეროვნულ გუნდთან და გაიმარჯვა ანგარიშით 110:76 (50:31). მოედანზე საუკეთესო იყო ამერიკელი ნოვაკი, რომელმაც თავის გუნდს 16 ქულა შესძინა. წინა მატჩიც სტუმრების გამარჯვებით დამთავრდა — 90.46 (40:27).

# რაც ბერიო, ის ერიო

საქართველოში მძლეოსანთა შეჯიბრებები თანდათან კარგავს კარგად ორგანიზებული, მაყურებლისთვის საინტერესო ტურნირის სახეს. ტექნიკური მაჩვენებლები საგრძნობლად რომ დაეცა, ეს სხვა დროსაც ბევრჯერ თქმულა. საკავშირო კი არა, რესპუბლიკური რეკორდებიც სანატრელი გაგვიხდა. თუ ვინმე მოზარდთა შორის რეკორდს დაამყარებს, მას ყველა ხახოებით შესცქერის, მისგან ახალ დუმბაძეს, გოკიელს, სანაძეს, ძვალიშვილს, სანეევსა და მოშიაშვილს ელიან. მაგრამ მოლოდინი ძალიან გაჭიანურდა.

ერთი სიტყვით, საერთაშორისო კლასის შედეგები ოცნებად რჩება. ამაზე აღარას ვამბობთ. გვაღონებს ის, რომ სპორტსმენებს პოზიციების დათმობაში არც მსაჯები ჩამორჩნენ. მძლეოსნობაში საკავშირო და რესპუბლიკური კატეგორიების არბიტრები საკმაოდ გვყავს, კარგად ორგანიზებული საქალაქო თუ რესპუბლიკური ასპარეზობა კი ბოლოს როდის ჩატარდა, ყველას დაგვავიწყდა.

რა მოხდა? არბიტრების დიდი უმრავლესობა მოვალეობის შესრულებას გაურბის, ვინაიდან მძლეოსნობის თბილისისა და რესპუბლიკური ფედერაციები, მსაჯთა კოლეგიების პრეზიდიუმები მოწოდების სიმაღლეზე ვერ დგანან. როგორც წესი, ამა თუ იმ ტურნირისთვის მთავარ მსაჯთა კოლეგიას ფედერაციის მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმი ადგენს და სხვა არბიტრების შერჩევაშიც ეხმარება მათ. მაგრამ ბოლო წლებში არ გამართულა არც ერთი შეჯიბრება, რომელსაც საჭირო რაოდენობის არბიტრები მომსახურებოდნენ.

თბილისისა და რესპუბლიკური შეჯიბრებების პრაქტიკიდან კარგა ხანია ამოვარდა „მონაწილეებთან მომუშავე მსაჯის“ როლი, კარგა ხანია სხეობებში მსაჯთა ბრიგადები სრულად არ კომპლექტდება. თუ ღმერთმა ქნა და შეჯიბრების ჩამტარებელმა ორგანიზაციამ რომელიმე კვალიფიციური მსაჯი მთავარი არბიტრის მოვალეობის შესრულებაზე დაითანხმა (ვინაიდან მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმებს ამ საკითხის მოგვარება არ ადარდებთ), ამ უკანასკნელს, პირდაპირ ვიტყვით, ფიგაროს როლი აქვს დაკისრებული.

გულგრილობის, უდარდელობის, უპასუხისმგებლობის შედეგია, რომ ახლა თბილისში მძლეოსანთა შეჯიბრებებზე ვერ მიხვდები, ვინ მსაჯია, ვინ მწვრთნელი, ვინ გუნდის წარმომადგენელი: განმასხვავებელი ნიშანი არც ერთს არა აქვს. არადა, არც ისე დიდი ხნის წინათ თბილისშიც კი სექტორზე თუ ბილიკზე ვერც ერთ არბიტრს ვერ ნახავდით სპეციალური ფორმისა და სამკერდე ნიშნისა თუ სამკაულის გარეშე. მოვალეობას ყველა შეგნებით, პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდებოდა, მსაჯთა კოლეგია ასპარეზობამდე რამდენიმე დღით ადრე კომპლექტდებოდა და ვერც ერთი არბიტრი ვერ გაბედავდა სხდომაზე დაეგვიანებინა ან შეჯიბრებაზე სპეციალური ფორმის გარეშე გამოცხადებულიყო. ასეთ შემთხვევაში მთავარი მსაჯი მას თანამდებობიდან ხსნიდა და საკითხი მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმის მსჯელობის საგნად იქცეოდა.

ახლა? ახლა ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. ბოლო წლებში „ლელოს“ ფურცლებზე არაერთხელ დაგვიწერია, რომ საქმისადმი მსაჯების გულგრილი დამოკიდებულების გამო შეჯიბრებები უინტერესო გახდა. ამ სენმა თანდათან ღრმად გაიდგა ფესვები. ამას წინათ თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გამართული საქალაქო საუწყებო ჩემპიონატის მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამთო მექანიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ა. სტეპანოვი გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა.

პირველივე დღეს მასთან საუბარში გამოირკვა, რომ ქალაქის მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმს ტურნირის მაღალ დონეზე ჩატარებისთვის თითი თითზე არ დაუკარებია: თბილისის სპორტკომიტეტს ლონისძიების ხელმძღვანელობა სტეპანოვისთვის სტარტამდე მხოლოდ ორი დღით ადრე უთხოვია. ასე მოკლე დროში რაიმეს გაკეთება ძნელი იყო. სტეპანოვი იმ იმედით დათანხმებულა, რომ ეგონა კოლეგები მხარში ამოუდგებოდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა. თავის გასამართლებლად ყველამ რაღაც მოიმიზეზა. არადა, შეჯიბრების დროს ბევრი სტადიონზე იყო და ჯიბეებში ხელებჩაწყობილი უყურებდა სტეპანოვის, ვ. გევონდოვის, ყ. საბანაშვილისა და კიდევ რამდენიმე კაცის მუშაობას.

— მდგომარეობა ალბათ მალე გამოსწორდება, — დავაიმედე მთავარი მსაჯი.

მაგრამ მდგომარეობა არც მეორე დღეს შეცვლილა, არც მესამე დღეს, თუმცა სტეპანოვი ბევრს ეცადა გამოსავალი მოენახა. საკავშირო, რესპუბლიკური და სხვა კატეგორიების მსაჯების მხრიდან ეს სტეპანოვისადმი ბოიკოტი როდი იყო. მას კოლეგებისგან ასეთი დამოკიდებულება არ დაუმსახურებია. არა, ეს მხოლოდ თბილისის, მთელი რესპუბლიკის მძლეოსნობის ბედ-იღბლის აბუჩად აგდება გახლდათ.

მთავარ მსაჯს ვთხოვეთ რამდენიმე კაცი მაინც დაესახელებინა, რომლებსაც შეეძლოთ მისთვის დახმარება გაეწიათ და არ დაეხმარნენ.

— გაგუა, ბედუკაძე, სუხოტინი, ნადირაშვილი, განა არ კმარა?! ისინიც და სხვებიც სამ დღეს სტადიონს არ მოშორებიან, მაგრამ საერთო საქმისთვის თავის შეწუხება არ მოინდომეს, — აღშფოთებით მოგვიგო მან.

შეჯიბრებას თავი აარიდეს უფრო ავტორიტეტულმა და უფრო მაღალი კატეგორიის მსაჯებმაც. ეს ერთადერთი და უკანასკნელი შემთხვევა არ ყოფილა. ასეთი მდგომარეობა მანამდე გაგრძელდება, სანამ თბილისისა და რესპუბლიკის სპორტკომიტეტები ამგვარ მსაჯებს სასტიკ ბრძოლას არ გამოუცხადებენ, თუნდაც საქმე წოდების ჩამორთმევამდე მივიდეს.

სწორედ კვალიფიციური მსაჯების უკმარობაა მიზეზი, რომ ამ შეჯიბრებაში ა. ნეკრასოვის მიერ 800 მეტრზე რბენაში ნაჩვენები შედეგი (1.55,1) ჭაბუკთა რესპუბლიკურ რეკორდად არ დამტკიცდება.

არც ტექნიკური მაჩვენებლები იყო სახარბიელო, მონაწილეთაგან მხოლოდ სამიოდემ აჩვენა სპორტის ოსტატობის კანდიდატისა და ათიოდემ — პირველი თანრიგის ნორმატივების შესაბამისი შედეგი. დინამოელ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს ა. მოშიაშვილს სათანადო მეტოქეები არ ჰყავდა, ამიტომ თავისი შესაძლებლობები სრულად ვერ გამოავლინა, მაგრამ 100 მეტრზე რბენაც მოიგო (10,8) და 110 მეტრზე თარჯრბენიც (14,2). განთიადელმა ს. მანუკოვმა ჭოკით ხტომაში 480 სმ სიმაღლე დაძლია და პირველად შეასრულა სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი.

ძალიან ბევრმა მეორე თანრიგის შესაბამისი შედეგით გაიმარჯვა, ზოგი კი მესამე თანრიგსაც ვერ შესწვდა. სწორედ ამაზეა ნათქვამი, რაც ბერიო, ის ერიო. რაც მსაჯები და მწვრთნელებია, ის — სპორტსმენები.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა „ბურევესტნიკმა“ — 151 ქულა. II ადგილი დაიკავა „სპარტაკმა“ — 133, III — „დინამომ“ — 125.

**ო. გელაშვილი.**





სურათებზე: ა. მოშიაშვილი თარჯრბენში ასპარეზობის დროს; შუბის ტყორცნაში გამარჯვებული ნ. ორფანოვი.

ავტორის ფოტოები.

# მეტი ლაზათი მიეცემოდა...

ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის სპორტკლუბ „კოლხიდის“ დარბაზში ჩატარდა ძალოსანთა რესპუბლიკური პირად-გუნდური ჩემპიონატი. სარბიელზე გამოვიდა აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, თბილისის, ქუთაისისა და ჭიათურის 50-მდე ძალოსანი.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ს. თათეოსიანი (თბილისი, „განთიადი“) — 172,5 კგ (77,5+95), ო. კარაიანიდი (სოხუმი, „განთიადი“) — 220 (97,5+122,5), ა. ოსანაძე (ბათუმი, „კოლმეურნე“) — 225 (105+120), ა. კიადიკოვი (თბილისი, „განთიადი“) — 272,5 (117,5+155), ე. ჯანხოთელი (ქუთაისი, „განთიადი“) — 267,5 (117,5+150), ო. დემუროვი (თბილისი, „განთიადი“) — 300 (135+165), ა. ბუტენკო (ქუთაისი) — 285 (122,5+162,5), თ. ძაგოევი (რუსთავი, „დინამო“)—310 (140+170), დ. ხიზამბარელი (თბილისი, „ლოკომოტივი“)—325 (140+185).

ჩემპიონთაგან განსაკუთრებული ქების ღირსია სოხუმის მე-19 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე, ჭაბუკთა შორის სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონი, 17 წლის ო. კარაიანიდი (მწვრთნელი ვ. რადიმაშვილი). მან ატაცში 97,5 კგ აწია, ორჭიდში კი 220 კგ დააგროვა და რესპუბლიკის რეკორდები დაამყარა ახალგაზრდებისთვის. იგი ძალოსნობას მესამე წელია მისდევს და უკვე სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა. 17 წლის ასაკში ასეთი წარმატება საქართველოს ძალოსნობის ისტორიაში პირველი შემთხვევაა. კარაიანიდი მესამე რეკორდსაც დაამყარებდა (აკვრა — 122,5 კგ), მაგრამ ხელაწევა აწონისას 150 გრამით მძიმე აღმოჩნდა.

მოწოდების სიმაღლეზე იდგა მსუბუქ წონაში თბილისელი ოსტატი ა. კიადიკოვი (მწვრთნელი შ. წერეთელი), რომელმაც ტაქტიკურად სწორად ააგო ცხინვალელი ოსტატის ვ. ძასოხოვის წინააღმდეგ ბრძოლის ვეგმა და ორჭიდის ჯამში 7,5 კილოგრამით გაუსწრო მეტოქეს.

ამავე წონით კატეგორიაში ასპარეზობა კარგად დაიწყო ახალგაზრდა დინამოელმა გ. მამიაშვილმა (მწვრთნელი კ. ებრალიძე): 112 კგ აიტაცა და რესპუბლიკის იუნიორთა ხუთი წლის წინანდელი რეკორდი კილოგრამით დაამძიმა. მაგრამ შემდეგ სპორტსმენმა აკვრაში წონა ვერ განსაზღვრა და 145 კილოგრამზე ნული მიიღო.

ქუთაისელმა ბუტენკომ პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი.

წარმატებით იასპარეზეს მძიმე და ზემძიმე წონის ძალოსნებმა თ. ძაგოევმა და დ. ხიზამბარელმა.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს თბილისელებმა. II და III ადგილებზე შესაბამისად გავიდნენ აფხაზეთისა და ქუთაისის წარმომადგენლები.

შეჯიბრებას მეტი ლაზათი მიეცემოდა, მონაწილეთა შორის რომ გვეხილა გ. სითათაშვილი, ვ. ლომჯანიძე, ნ. ნახუცრიშვილი, ა. ციბანი, შ. ლომიძე და ა. ჯეჯელავა, რომლებმაც სხვადასხვა მიზეზით თავი აარიდეს ფიცარნაგზე გამოსვლას. მათმა მწვრთნელებმა და შესაბამისი სპორტკომიტეტების ხელმძღვანელებმა ამ ფაქტს გულგრილად არ უნდა აუარონ გვერდი.

განსაკუთრებული მსჯელობის საგნად უნდა იქცეს რუსთავის სპორტკომიტეტის ინერტული დამოკიდებულება ჩემპიონატისადმი. ამ კომიტეტმა, მიუხედავად მრავალგზის შეხსენებისა, რესპუბლიკის ნაკრების წევრობის კანდიდატებიც კი არ გამოგზავნა საასპარეზოდ.

მეტ გულისხმიერებას ველოდით საჩხერის სპორტის მესვეურებისგანაც, სადაც მწვრთნელად მუშაობს მოქმედი სპორტის ოსტატი ჟ. დვალი.

უნდა ვუსაყვედუროთ საქართველოს მრავალგზის ჩემპიონსა და რეკორდსმენს, ქუთაისელ დ. გაბაძეს (მწვრთნელი პ. კოსტავა), რომელიც ეს უკვე მეორე მნიშვნელოვან შეჯიბრებაში ძალიან წარუმატებლად გამოდის.

ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ კვლავ მწყობრში ჩადგა სსრ კავშირის 1972 წლის პირველობის პრიზიორი, სოხუმელი რ. ტარკილი (მწვრთნელი ვ. რადიმაშვილი), მაგრამ მისი „დებიუტი“ ტაქტიკური შეცდომის გამო ნულით დამთავრდა.

დაკომპლექტდა რესპუბლიკის ნაკრები, რომელიც სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის ფინალში საასპარეზოდ მოემზადება.

**გ. გოდერძიშვილი,**
საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი ძალოსნობაში, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

## სიმტკიცე ასეთი უნდა!

რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს კალათბურთელთა მოთელვა მატჩის წინ? ზოგჯერ 5 წუთს, ზოგჯერ 10 ან 15 წუთს, მაგრამ არამც და არამც 40 წუთს ან 1 საათს. აქ ყველაფერი ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ რეგლამენტს ემორჩილება. ამ რეგლამენტში თანაბრადაა გათვალისწინებული სპორტსმენთა ფიზიკური შესაძლებლობანიც და მაყურებლების ინტერესებიც, მატჩებს შუა პერიოდის ხანგრძლივობაც და ყოველი მომდევნო შეხვედრის დაწყების ზუსტი დროც.

რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული ზოგიერთი უმნიშვნელო უზუსტობა, მაგრამ ის, რაც ამ დღეებში ლენინის სახელობის დარბაზში მოხდა, სცილდება ყველა აქამდე არსებულ წარმოდგენას მოთელვის ხანგრძლივობის შესახებ.

ეს იყო ძოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის მორიგი კალენდარული მატჩი. ეს იყო ტრადიციული დავა ძველ სპორტულ მეტოქეებს შორის, რომელსაც, ფაქტიურად, სპარტაკიადის ჩემპიონი უნდა დაესახელებინა ვაჟთა ტურნირში.

... გავიდა 10 წუთი, 20, 30, მაგრამ თბილისისა და ქუთაისის გუნდების მატჩის დაწყებას პირი არ უჩანდა. კალათბურთელებს მოჰბეზრდათ მოთელვა. მოჰბეზრდათ ლოდინი მაყურებლებსაც... მსაჯთა ოთახში კი ამ დროს მწვავე დებატები მიმდინარეობდა შეჯიბრების მთავარ მსაჯსა და არბიტრებს შორის — არც ერთ მათგანს არ სურდა შეხვედრის მსაჯობა.

კი მაგრამ, რა მოხდა ისეთი? რამ შეაშინა აგრერიგად ძრავლის მნახველი არბიტრები? მართალია, ბრძოლა მძაფრი და პრინციპული უნდა ყოფილიყო, მაგრამ მსაჯის ოსტატობაც ხომ იმას ნიშნავს, რომ ასეთ პრინციპულ ბრძოლას უხელმძღვანელოს?

40 წუთს გაგრძელდა დავა მთავარ მსაჯსა და არბიტრებს შორის, მაგრამ არც ერთი ტიტულოვანი მსაჯი არ გატყდა. სიმტკიცე ასეთი უნდა! ბოლოს ეს „მძიმე მისია“ თრმა ახალგაზრდა მსაჯმა იტვირთა — თ. კაკაურიძემ (თბილისი) და ჯ. მამაგეიშვილმა (წყალტუბო).

რა მოხდა მერე? არაფერი განსაკუთრებული! ბრძოლა, როგორც მოველოდით, საინტერესო გამოდგა. იგი თბილისელებმა მოიგეს.

ახლა კი დავუბრუნდეთ ამ მატჩის წინა პერიოდს. მთავარი მსაჯის მიერ წინასწარ დანიშნული არბიტრებიდან ერთს მივლინებაში მოუხდა წასვლა, მეორე კი ავად გახდა. მაგრამ თბილისში მათ გარდა კიდევ, ხულ ცოტა, 5 საერთაშორისო და 10-ზე მეტი რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯია. ნუთუ ასე ძნელი იყო რ. ხომერიკისა და ქ. კალანდაძის შეცვლა ადგილზე? საკავშირო ჩემპიონატის ან საერთაშორისო შეხვედრების მსაჯობაზე ვეებერთელა რიგია გაჭიმული და კანდიდატები ყველა დაშვებული და დაუშვებელი წესით ებრძვიან ერთმანეთს ადგილის მისაღებად. მცირე მასშტაბის ტურნირებში მსაჯობა კი რატომღაც სამარცხვინო საქმედ ითვლება და მათ ყველა თავს არიდებს. სწორედ ამიტომ, ზოგიერთ არბიტრს ამ შეჯიბრებაში დღეში ოთხი ან ხუთი შეხვედრის ჩატარება უხდება (მაგალითად, ს. მაღალაშვილს).

ამ შეუწყნარებელ ფაქტზე უნდა იმსჯელონ როგორც საქართველოს, ისე თბილისის მსაჯთა კოლეგიებმა. კალათბურთის არბიტრთა საქმიანობაში ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამყარდეს წესრიგი. ეს შეეხება არა მარტო დატვირთვის თანაბარ განაწილებას მსაჯთა შორის, არამედ მათ ეთიკურ მხარესაც.

**ნ. გუგუშვილი.**

# „ლოკომოტიველთა ტურნირი

ამას წინათ დამთავრდა „ლოკომოტივის“ თბილისის რაისაბჭოს მოჭადრაკეთა პირველობა. ტურნირში 24 კაცი მონაწილეობდა, მათ შორის — 6 ოსტატობის კანდიდატი.

შეჯიბრებაში, რომელიც შვეიცარიული სისტემით (9 ტური) ჩატარდა, I ადგილი დაიკავა ოსტატობის კანდიდატმა ვ. ვეფხვიშვილმა — 7 ქულა. II ადგილზეა ოსტატობის კანდიდატი კ. ზაბახანოვი — 6,5 ქულა. III-IV ადგილები გაიყვეს ოსტატობის კანდიდატმა ნ. ჩახოიანმა და პირველთანრიგოსანმა პ. ჩხეიძემ, რომელმაც ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი შეასრულა.

ზემოჩამოთვლილნი და ერევნელი ოსტატობის კანდიდატი გ. აჯანიანი, რომელმაც ამას წინათ წარმატებით ითამაშა ამიერკავკასიის რკინიგზელ მოჭადრაკეთა გუნდურ პირველობაში, „ლოკომოტივის“ ნაკრებ გუნდში არიან შეყვანილი. ეს გუნდი ივლისში მონაწილეობას მიიღებს „ლოკომოტივის“ ცენტრალური საბჭოს გუნდურ პირველობაში (ვილნიუსი).

**გ. ბარბაქაძე.**

ჭადრაკი

# სასახლის პრიზზე

კარგ ტრადიციად იქცა თბილისის ჭადრაკის სასახლის პრიზის გათამაშება. ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის მოჭადრაკეები დიდი გატაცებით მონაწილეობენ ამ შეჯიბრებაში. სასახლის პრიზი პირველად მოიპოვა ოსტატობის კანდიდატმა ზ. მიქაძემ, მეორედ — ოსტატმა ე. უბილავამ, მესამედ — ოსტატობის კანდიდატმა გ. ზაიჩიკმა.

ამას წინათ დამთავრდა პრიზის მეოთხე გათამაშების ნახევარფინალი, რომელშიც 78 ოსტატი, ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანი მონაწილეობდა. შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით ჩატარდა. ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს ოსტატობის კანდიდატებმა დ. გვედევანიშვილმა, ვ. ვეფხვიშვილმა, პირველთანრიგოსნებმა ვ. ჩხეიძემ, ე. მდინარაძემ, ქ. კაზაჯიანმა და გ. ბონდარენკომ,

სასახლის პრიზის გათამაშების ფინალური ტურნირი, რომელშიც 14 მოჭადრაკე მიიღებს მონაწილეობას, 12 დეკემბერს დაიწყება. პრიზის მფლობელს პერსონალურად დაუშვებენ საქართველოს ვაჟთა XXXVI პირველობის ფინალში.

**თ. ნინოშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთოდური მითითებანი

# სასწავლო-საწვრთნელი პროცესის ორგანიზაციისთვის

## შესავალი

ფეხბურთის ფედერაცია და საქართველოს ზრუნავენ რესპუბლიკის მასობრივ ფეხბურთში, განსაკუთრებით კი საქართველოს პირველობის I და II ჯგუფებში მოთამაშე გუნდებში სასწავლო-საწვრთნელი პროცესის მოწესრიგებისთვის. ინერგება დაგეგმვა-აღრიცხვიანობის დოკუმენტაცია. შარშან პირველად ჩააბარეს ნორმატივები ტექნიკურ და ფიზიკურ მომზადებაში საქართველოს პირველობის I ჯგუფის გუნდებმა. ყოველწლიურად ტარდება მწვრთნელთა სემინარები, რომლებიც მიზნად ისახავს მწვრთნელთა ცოდნის გაღრმავებას, სასწავლო-საწვრთნელი პროცესის რაციონალურად დაგეგმვისა და წარმართვის კულტურის ამაღლებას.

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მთავარი მუშაობა ჯერ კიდევ წინა გვაქვს. განა ცოტაა შემთხვევა, როცა ზოგიერთი გუნდი არა მარტო ნაკლებს და უხარისხოდ მუშაობს, არამედ ზოგჯერ თამაშიდან თამაშამდე სრულიად უმოქმედოდაა? ყველასთვის ნათელია, რომ ბევრს ვერაფერს მივაღწევთ, თუ ადგილობრივი სპორტული ორგანიზაციები მომავალშიც ასე გულგრილად მოეკიდებიან თავიანთ გუნდებში სასწავლო-საწვრთნელ პროცესს, თუ არ გააუმჯობესებენ წვრთნის პროცესისადმი კონტროლს, დაკმაყოფილდებიან მხოლოდ ათასნაირი ხერხებითა და საშუალებებით მოპოვებული ქულებით.

ჩვენ ვალდებული ვართ სათანადო სიმაღლეზე ავიყვანოთ მასობრივი ფეხბურთი, ხოლო ამის მისაღწევად ერთადერთი სწორი გზაა წვრთნის პროცესის რაციონალური ორგანიზაცია.

I

## წვრთნის პროცესის რაციონალური ორგანიზაციისთვის აუცილებელი პირობები

წვრთნის პროცესის რაციონალური ორგანიზაცია უშუალოდ დამოკიდებულია მუშაობის დაგეგმვაზე და მის ხარისხზე, ყოველდღიურ და სისტემატურ მუშაობაზე, ანალიზებზე და ანალიზის ხარისხზე.

ჩვენდა სამწუხაროდ, მწვრთნელის მუშაობის რაციონალური ნორმების ცხოვრებაში დანერგვა ბევრ წინააღმდეგობას აწყდება, ზოგჯერ ეს გამოწვეულია სამუშაოს მოცულობის ზრდისთვის თავის არიდებით, ზოგჯერ კი — მწვრთნელების დაბალი მეთოდური მომზადებით. ასეთებს ურჩევნიათ იმუშაონ ძველებურად, უკონტროლოდ, ღვთის ანაბარა.

მათ სურთ საწვრთნელი პროცესის დოკუმენტირებისთვის თავის არიდება ან უცოდინარობა დაფარონ თითქოსდა პრაქტიკული გამოცდილებით, ზეპირად, ყოველგვარი დოკუმენტაციის გარეშე მუშაობის უნარით. ერთი წუთით დავუშვათ, რომ მათ მართლაც შეუძლიათ გეგმიანად იმუშაონ უგეგმოდ, ანალიზი გაუკეთონ თავიანთ მუშაობას ისე, რომ ხელთ არ ჰქონდეთ სისტემატიზებული მასალა.

თუნდაც ასე იყოს, ისინი მაინც ვალდებული არიან დაიცვან დადგენილი წესი. რატომ? იმიტომ, რომ სხვა შემთხვევაში საწვრთნელი პროცესი წარიმართებოდა თვითდინებით და სტიქიურად, ვერ შევძლებდით მივცეთ მისთვის ერთიანი, მეთოდურად მიზანდასახული მიმართულება, შეუძლებელი გახდებოდა ცალკეული მწვრთნელებისა და გუნდების სასარგებლო გამოცდილების განზოგადება, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ჩვენი ფეხბურთის შემდგომი ზრდა და განვითარება.

ვიმეორებთ, რომ დაგეგმვა და აღრიცხვა საწვრთნელი პროცესის რაციონალური ორგანიზაციის საფუძველია. სინამდვილეში ჩვენ არა გვყავს ისეთი მწვრთნელები, რომელთაც მართლაც შესწევთ ზეპირად, კონსპექტებისა და სხვა დოკუმენტაციის გარეშე მუშაობის უნარი. ხოლო წერითი სამუშაოებისთვის თავის არიდება, მუშაობის კულტურაზე უარის თქმა ძვირად უჯდება საერთოდ ფეხბურთს, კერძოდ კი მის საწვრთნელ პროცესს. ზოგიერთი ახეთი მწვრთნელის „ნიჰილიზმი" საწვრთნელი პროცესის რაციონალური ორგანიზაციის მიმართ, მათი თავის მართლება იმით, რომ უქმად დროის დაკარგვა არ გვინდაო, სინამდვილეში გამოწვეულია ერთი სურვილით: მიჩქმალონ ის ამბავი, რომ არ იციან მეცადინეობათა კონსპექტების, ციკლური წვრთნის, გრაფიკის, ოპერატიული და მიმდინარე გეგმების შედგენა, ჩატარებული მუშაობის აღრიცხვა და გაფორმება, არ იციან, ასე ვთქვათ, ციფრების ენა.

ამ წერითი სამუშაოების წარმოების შესწავლა ყველასთვის სავალდებულოა.

საქართველოს პირველობის მონაწილე გუნდების მწვრთნელებს აქვთ ჟურნალები, სადაც თავმოყრილია გუნდის სათანადო საგეგმო-სააღრიცხვო დოკუმენტაცია. ამ ჟურნალების წარმოება სავალდებულოა იმიტომ, რომ ეს ერთი მხრივ ხელს უწყობს გუნდში სასწავლო-საწვრთნელი პროცესების მოწესრიგებას, ხოლო, მეორე მხრივ, თვით მწვრთნელებისთვისაც კარგი სკოლაა.

II

## მომზადების დონე

მასობრივი ფეხბურთის გუნდებში, განსაკუთრებით კი საქართველოს პირველობის მონაწილე კოლექტივებში, მომზადების დონე მკვეთრად უნდა ამაღლდეს, ვინაიდან მათ წინაშე დგას არა მარტო გამაჯანსაღებელი, არამედ რთული სპორტული ამოცანები. ამასთან, ეს სპორტული ამოცანა მარტო შეჯიბრებაში მოპოვებული მიღწევებით როდი განისაზღვრება. აქ, ამ გუნდებში, ასე ვთქვათ, „სტაჟირება" და შემდეგი წრთობა უნდა გაიარონ იმ ახალგაზრდა ფეხბურთელებმა, რომლებმაც სპეციალიზებული სკოლები დაამთავრეს და ჯერ კიდევ არ გააჩნიათ იმდენი გამოცდილება, რომ უშუალოდ გააგრძელონ სპორტული მოღვაწეობა ოსტატთა გუნდებში.

აქედან გამომდინარე, ნათელი ხდება, რომ წვრთნის მოცულობაც, ინტენსიურობაც და შინაარსიც რესპუბლიკის მასობრივ ფეხბურთში დაახლოებით ოსტატთა გუნდების დონემდე უნდა ავიყვანოთ. წლეულს საქართველოს პირველობის გათამაშების I ჯგუფში 20 გუნდი გამოდის. ესე იგი მათი წლიური ციკლი, მაგალითისთვის, შემდეგნაირი იქნება:

1. კალენდარული თამაშები — 38 დღე
2. ამხანაგური შეხვედრები და თასის გათამაშების მატჩები — 8 დღე
3. საწვრთნელი დღეები — 192
4. თავისუფალი დღეები (დასვენება) კალენდრის შუალედებში — 96
5. ყოველწლიური დასვენება — 31

სულ 365 დღე

ჩვენ გამოვდივართ კვირაში ოთხჯერადი სავალდებულო მეცადინეობიდან (მეხუთე კალენდარული თამაშია) თამაშებს შორის ციკლის შემდეგი გრაფიკით:

პირველი დღე (თამაშის მომდევნო დღე) — დასვენება
მეორე — მეცადინეობა დიდი დატვირთვით — 2,5 საათი
მესამე — მეცადინეობა საშუალო დატვირთვით — 2 საათი
მეოთხე — მეცადინეობა დიდი დატვირთვით — 2,5 საათი
მეხუთე — მეცადინეობა საშუალო დატვირთვით — 2 საათი
მეექვსე — დასვენება
მეშვიდე — შეჯიბრება (თამაში).

ზოგიერთი გუნდი თამაშის წინადღით ატარებს ვარჯიშს მცირე დატვირთვით, ესე იგი კვირაში 5 მეცადინეობა აქვს. აქ მეექვსე დღეს უნდა ჩატარდეს მეცადინეობა მცირე დატვირთვით.

აქედან გამომდინარე, საშუალო წლიური საწვრთნელი დროის მოცულობა, დაახლოებით შემდეგნაირი იქნება:

1. მეცადინეობა დიდი დატვირთვით (96×2,5) — 240 საათი
2. მეცადინეობა საშუალო დატვირთვით (96×2) — 192 საათი

სულ 432 საათი

გუნდებს, რომლებიც კვირაში ხუთჯერად ვარჯიშებს ატარებენ, დაემატებათ მეცადინეობები მცირე დატვირთვით — 48 საათი, და საერთო ჯამში გამოუვათ წლიური დატვირთვა 480 საათი. სანამ გუნდებს დაუგროვდებოდეთ პირადი გამოცდილება საწვრთნელი საათებისა და ვარჯიშთა სახეობების განაწილებაში, ჩვენ მათ საორიენტაციოდ ვთავაზობთ მუშაობის შემდეგნაირად დაგეგმვას:

| ვარჯიშების შინაარსი | მოსამზადებელი პერიოდი | ძირითადი პერიოდი |
|---|---|---|
| 1. ვარჯიშები უბურთოდ პროცენტებში მთლიანი სავარჯიშო დროიდან | 60 | 40 |
| ა) რბენა | 30 | 45 |
| ბ) ტვირთით (ძალისმიერი) | 7 | 5 |
| გ) სისხარტისა და მოქნილობისთვის | 5 | 5 |
| დ) სათამაშო ვარჯიშები | 18 | 5 |
| ე) სხვადასხვა (მოთელვისა და შემაჯამებელი ვარჯიშების ჩათვლით) | | |
| 2. ვარჯიშები ბურთით პროცენტებში | 40 | 40 |
| მთლიანი სავარჯიშო დროიდან | 40 | 60 |
| ა) ვარჯიშები ერთეულებში | 7 | 7 |
| ბ) ვარჯიშები წყვილებში | 11 | 11 |
| გ) ვარჯიშები ჯგუფებში | 14 | 14 |
| დ) კარში დარტყმები | 25 | 25 |
| ე) სათამაშო ვარჯიშები და ორმხრივი თამაშები | 43 | 43 |

III

## პერიოდიზაცია

წლიური საწვრთნელი ციკლი იყოფა მოსამზადებელ, ძირითად და გარდამავალ პერიოდებად. მოსამზადებელი პერიოდი იყოფა ცალკეულ ეტაპებად, რომელთაც აქვთ თავიანთი მიზნები და ამოცანები, სპეციფიკური საშუალებები, ფიზიკური დატვირთვის დინამიკა და წვრთნის რეჟიმი.

### მოსამზადებელი პერიოდი

ეს პერიოდი იწყება პირველი ვარჯიშიდან (იანვრის თვიდან) და გრძელდება პირველ ოფიციალურ შეხვედრამდე (მარტამდე). მოსამზადებელი პერიოდის პირველი ეტაპის ამოცანაა მიაღწიოს გუნდის საერთო მზადყოფნას.

### ა) საერთო მოსამზადებელი პერიოდი

პირველ კვირაში წვრთნა მიმართულია იქითკენ, რომ წლიური შესვენების შემდეგ აამაღლოს ორგანიზმის შრომისუნარიანობა. ეს პროცესი მიმდინარეობს დატვირთვის თანდათანობითი ზრდით. ამგვარად, ორგანიზმი ეჩვევა ინტენსიურ მუშაობას. წვრთნის შინაარსი: ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშები, კროსები, ესტაფეტები, მოძრავი და სპორტული თამაშები, თუ შესაძლებელია, თხილამურებით ვარჯიში და ა. შ.

პირველი კვირის განმავლობაში ფეხბურთელმა უნდა გაიმდიდროს მოძრაობითი და ფუნქციონალური შესაძლებლობანი, რათა შემდეგ შეუდგეს მიზანდასახულ მუშაობას ოსტატობის დონის ასამაღლებლად.

წვრთნის პირველ დღეებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დატვირთვის განაწილებას და მკაცრად უნდა იქნეს დაცული მოჩავალი მზარდი სამუშაოებისთვის ორგანიზმის თანდათანობითი მზადების პრინციპი. ფაქტიურად მეორე კვირიდან იწყება საერთო მოსამზადებელი ეტაპი, რომელიც 3-4 კვირას გრძელდება. ამ ეტაპზე რეკომენდებულია ჩატარდეს საწვრთნელი ვარჯიშები შემდეგი მიმართულებით:

პირველი დღე — დასვენება.

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია,**

**საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს მეთოდური საბჭო.**

(გაგრძელება იქნება)

# XXVI ჩემპიონატი

# ლიგა

თბილისი „ლოკომოტივის" სტადიონი. 31 მაისი.

„დინამო" (თბილისი) — „ფახთაქორი" (ტაშკენტი) 1:1 (1:0).

„დინამო": გაგოშიძე, ძოძუაშვილი, ჰელიძე, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, გავაშელი (მჭედლიშვილი), მ. მაჩაიძე, ებრალიძე, გუცაევი, გ. ნოდია, გ. მაჩაიძე (წერეთელი).

„ფახთაქორი": ფილატოვი, ივანკოვი (აშიროვი), ვარიუხინი, მოგილნი, ბასოვი, ივანოვი (იაშაროვი), კორჩენოვი, ბელოვი, ისაკოვი, ფიოდოროვი, ხაძიპანაგისი.

მსაჯი ვ. ალოვი (ლენინგრადი).

დუბლიორები — 2:2.

31 მაისს მაყურებლებმა კვლავ გულდაწყვეტილებმა დატოვეს „ლოკომოტივის" სტადიონი. თბილისის „დინამომ" ვერა და ვერ შეძლო არცთუ ძლიერი მეტოქის — ტაშკენტის „ფახთაქორის" დამარცხება და მხოლოდ 1 ქულას დასჯერდა. შეიძლება ვინმეს ეგონოს, რომ არაჩვეულებრივად ითამაშეს სტუმრებმა. არა. ვერც ისინი იყვნენ სათანადო სიმაღლეზე, ხშირად უხეშობდნენ, რის წინააღმდეგაც მატჩის არბიტრი, ლენინგრადელი ვ. ალოვი ვერაფერს

## „ფახთაქორის" გეგმით

გახდა. ნაცვლად იმისა, რომ დამნაშავეთა წინააღმდეგ გადამჭრელი ზომები მიეღო, იგი მხოლოდ მორიდებული დატუქსვით იფარგლებოდა. ამიტომ იყო, რომ არც მასპინძლების, არც სტუმრების და არც მატჩის არბიტრის მოქმედება მაყურებელს არ მოეწონა. 28-ე წუთზე ებრალიძის მიერ გატანილი ბურთი არ წყვეტდა მატჩის ბედს.

როცა მატჩის პირველი წუთები მიიწურა, ნათელი გახდა „ფახთაქორის" ტაქტიკური ჩანაფიქრი. თითქმის ყველა მოთამაშე ცდილობდა ყოველი ღონე ეხმარა ერთი ქულის გადასარჩენად, საიმედოდ ჩაკეტა გუცაევი, რომ თბილისელების აქტიურ ფორვარდს თავისუფლად მოქმედების საშუალება არ ჰქონოდა. „ფახთაქორის" ფეხბურთელებმა უფროსი მწვრთნელის ვ. სოლოვიოვის მიერ დასახული ამოცანა ფრიადზე შეასრულეს, ხოლო დინამოელებმა მინდორზე შექმნილ ვითარებას გასაღები ვერ მოუძებნეს.

ცნობილია, რომ თანამედროვე ფეხბურთში ერთ-ერთ მთავარ ძალას ნახევარდაცვა წარმოადგენს. ამ მხრივ ჩვენი გუნდის ეს რგოლი ბევრს შეშურდება, გვყავს მაღალი კლასის მოთამაშეები, მაგრამ, თუ ოსტატობა საკუთარი გუნდის სასარგებლოდ არ გამოიყენე, ვის რად უნდა შენი მაღალი კლასი? ოთხივე ნახევარმცველი,



კრილოვის იგავისა არ იყოს, ისე მოქმედებდა, რომ „დინამოსთვის" მინიმალური სარგებლობაც არ მოჰქონდა. მ. მაჩაიძე ინდივიდუალური გარღვევებით, ბურთის გაუთავებელი გარდიგარდმო ტარებით აფერხებდა თავისი გუნდის იერიშებს, გ. გავაშელმა დასაწყისიდანვე ვერ მონახა თავისი ადგილი. ვერაფრით ეხმარებოდა პარტნიორებს გ. მაჩაიძეც, რომელმაც კარგად ჩაატარა ბოლო ორი მატჩი, განსაკუთრებით ერევნის „არარატთან", ახლა კი ძალიან უღიმღამოდ, უსარგებლოდ თამაშობდა. შეიძლება ჯერ კიდევ ნაადრევია მისთვის ასეთი დიდი დატვირთვის მიცემა? გ. მაჩაიძეს ჩვენ ვხედავთ სამ ამპლუაში — მცველის, შემტევი ნახევარმცველისა და თავდამსხმელის როლში. ეტყობა, ახალგაზრდა ფეხბურთელს ჯერ კიდევ არ ჰყოფნის ძალა სამივე ფუნქციის შესასრულებლად. გუცაევი რომ საფუძვლიანად ჩაკეტეს ტაშკენტელებმა, მეორე თავდამსხმელი გ. ნოდია იზოლირებული აღმოჩნდა სტუმრების გარემოცვაში. მას მხოლოდ ერთხელ მიეცა თავის გამოჩენის საშუალება და ძნელი მდგომარეობიდან დარტყმული ბურთი სულ ოდნავ ასცდა ტაშკენტელთა კარს.

თუკი თბილისელთა დაცვამ დაკისრებულ საქმეს პირველ ნახევარში ასე თუ ისე თავი გაართვა, სულ სხვა სურათის მოწმენი გავხდით შესვენების შემდეგ. მარცხენა ფრთაზე რამდენიმე ოსტატური რეიდი განახორციელა ტაშკენტელმა ფიოდოროვმა, რომლის წინააღმდეგაც ძოძუაშვილმა ვერაფერი გააწყო. იგრძნეს რა, რომ თბილისელთა დაცვას ბზარი გაუჩნდა, სტუმრებმა მთელი შემტევი ძალა მარცხნივ გადაიტანეს და სწორედ აქ მიაღწიეს წარმატებას, როცა მარტივ ვითარებაში გაიტანეს საპასუხო გოლი. საკუთარ საჯარიმო მოედანზე შეკრებილი ხუთი დინამოელი მეკარისგან მარცხენა ფრთაზე აღმოჩნდა, მარჯვენა მხარეს კი ადვილად გასასვლელი დერეფანი შეიქმნა და კარის სიახლოვეს გასულმა ორმა ფახთაქორელმა მარტივი კომბინაცია გაითამაშა. ფიოდოროვის ძლიერი დარტყმის მოგერიება უძნელესი საქმე იყო და თბილისელებმა ცენტრიდან დაიწყეს თამაში.

გადიოდა წუთები, მინდორზე კი ვითარება არ იცვლებოდა. საჭირო იყო თბილისელთა მხრიდან საგანგებო ზომების მიღება, პასიურად მოთამაშე ფეხბურთელთა შეცვლა (გ. გავაშელი, გ. მაჩაიძე), მაგრამ ეს მხოლოდ გვიან, თამაშის დამთავრებამდე სულ 15 წუთით ადრე მოხდა. მინდორზე შემოსული წერეთელი და მჭედლიშვილი ჩაებნენ თამაშში, ერთ-ერთი საჯარიმოს გათამაშების შემდეგ წერეთლის უძლიერესი დარტყმა ოსტატური ნახტომით მოიგერია ტაშკენტელთა მეკარე ფილატოვმა. დინამოელთა რიგებში ცვლილებამ კარგი ნაყოფი გამოიღო, მაგრამ ეს რომ მეორე ტაიმის დასაწყისისთვის მომხდარიყო, ვინ იცის, რა შედეგით დამთავრდებოდა მატჩი.

განვლილ მატჩში თბილისის „დინამოს" მოქმედებაში შეიმჩნეოდა, რომ გუნდს აკლია მეთაური, შეტევების სულისჩამდგმელი, დირიჟორი, ყველა თავის ნებაზე თამაშობდა და დამოუკიდებელი გარღვევებით, ბურთის ტარებით იყო დაკავებული.

შინ ქულის დაკარგვა და ისიც „ფახთაქორისთანა" გუნდთან, მეტად დასანანია. მაშ ვის უნდა ავართვათ 2 ქულა, თუ არა ასეთი რანგის კოლექტივს? თბილისელებს ახლა 2 მატჩი აქვთ ჩასატარებელი — ალმა-ათაში და ლვოვში. თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებმა უნდა გაითვალისწინონ ამ მატჩში დაშვებული შეცდომები და ყოველი ღონე იხმარონ შელახული რეპუტაციის აღსადგენად. საჭიროა თითოეული ჩვენი ფეხბურთელი თავის საშემსრულებლო ოსტატობას პირადად თავის გამოჩენას კი არა, მთელი კოლექტივის ინტერესებს უნდა ახმარდეს.

ზ. ჯანდიერი.

• • •

სურათზე: თბილისის „დინამოს" და ტაშკენტის „ფახთაქორის" შეხვედრის მომენტი. ტაშკენტელთა კართან.

მ. ზარგარიანის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# XXI ჩემპიონატი

## ფეხბურთის ქრონიკა

31 მაისს გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები.

„არარატი" — „ქაირათი" 1:0. ერევნელ ფეხბურთელებს საგრძნობი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ კარგად ითამაშა „ქაირათის" დაცვამ და მეკარე ორდაბაევმა. გოლი, რომელმაც გამარჯვება მოუტანა „არარატს", 61-ე წუთზე გაიტანა ზანაზანიანმა.

„ზარია" — „კარპატი" 2:0. სსრ კავშირის ექს-ჩემპიონმა პირველი გამარჯვება ჩაიწერა მიმდინარე გათამაშებაში. ბურთები გაიტანეს ბელოუსოვმა და სტულჩინმა. ანგარიში მეტიც იქნებოდა, მაგრამ რამდენიმე ძალზე ძნელი ბურთი აიღო სტუმრების მეკარე დვურეჩენსკიმ.

„ტორპედო" — „ჩერნომორეცი" 0:0. უინტერესო, უფერულ თამაშს გოლი არ მოჰყოლია — 0:0.

„დინამო" — (მოსკოვი) — „დინამო" (კიევი) 1:2. კიეველებმა კარგად გამოიყენეს ის დიდი უპირატესობა, რომელიც პირველ ტაიმში ჰქონდათ და 2 ბურთი გაიტანეს (ბლოხინი, ონიშჩენკო). 51-ე წუთზე ევრიუჟიხინმა 11-მეტრიანი დარტყმით გაქვითა ერთი გოლი, ხოლო მოსკოველთა სხვა შეტევებს შედეგი არ მოჰყოლია. არასპორტული საქციელისთვის გაფრთხილება მიიღო კიეველმა მატვიენკომ.

„შახტიორი" — „დნეპრი" 2:1. სამივე გოლი შესვენების შემდეგ გავიდა. ორჯერ ბურთი გაიტანა დონეცკელმა სტარუხინმა, სტუმართაგან კი — სოლოვიოვმა. უწესო საქციელით „გამოიჩინა თავი" „შახტიორის" ნახევარმცველმა კონკოვმა. მან ჯერ გაფრთხილება მიიღო მსაჯისგან, ხოლო შემდეგ მინდვრიდან გააძევეს.

„ნისტრუ" — ცსკა 3:3. ამ მატჩში არმიელთაგან 2 ბურთი გაიტანა დუდარენკომ, 1 — დოროფეევმა, მასპინძელთაგან — 2 მიხაილოვმა და მესამე — ნადეინმა.

### გათამაშების ცხრილი

უმაღლესი ლიგა

მდგომარეობა 2 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (კიევი) | 8 | 5 | 2 | 1 | 12—6 | 12 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 8 | 2 | 6 | 0 | 8—6 | 10 |
| ცსკა | 8 | 3 | 3 | 2 | 14—11 | 9 |
| „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) | 8 | 3 | 3 | 2 | 10—7 | 9 |
| „ქაირათი" (ალმა-ათა) | 8 | 3 | 3 | 2 | 12—11 | 9 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 8 | 2 | 5 | 1 | 11—10 | 9 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 8 | 3 | 3 | 2 | 7—7 | 9 |
| „არარატი" (ერევანი) | 8 | 3 | 2 | 3 | 8—8 | 8 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 8 | 1 | 5 | 2 | 8—8 | 7 |
| „ფახთაქორი" (ტაშკენტი) | 8 | 2 | 3 | 3 | 12—13 | 7 |
| „კარპატი" (ლვოვი) | 8 | 2 | 3 | 3 | 8—9 | 7 |
| „ნისტრუ" (კიშინიოვი) | 8 | 2 | 3 | 3 | 9—11 | 7 |
| „ზარია" (ვოროშილოვგრადი) | 8 | 1 | 4 | 3 | 8—10 | 6 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 7 | 2 | 2 | 3 | 4—6 | 6 |
| „დინამო" (თბილისი) | 7 | 1 | 4 | 2 | 4—7 | 6 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 8 | 1 | 3 | 4 | 1—6 | 5 |

### გათამაშების ცხრილი

I ლიგა

მდგომარეობა 2 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ნეფთჩი" (ბაქო) | 10 | 7 | 1 | 2 | 11—4 | 15 |
| ასკ (დონის როსტოვი) | 9 | 6 | 1 | 2 | 15—6 | 13 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 10 | 5 | 3 | 2 | 12—7 | 13 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 9 | 6 | 0 | 3 | 14—6 | 12 |
| „ზვეზდა" (პერმი) | 10 | 5 | 2 | 3 | 14—12 | 12 |
| „ტავრია" (სიმფეროპოლი) | 9 | 4 | 3 | 2 | 13—7 | 11 |
| „დინამო" (მინსკი) | 9 | 5 | 1 | 3 | 13—9 | 11 |
| „სპარტაკი" (ნალჩიკი) | 9 | 4 | 3 | 2 | 9—5 | 11 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 10 | 5 | 1 | 4 | 12—11 | 11 |
| „შინიკი" (იაროსლავლი) | 9 | 4 | 3 | 2 | 10—9 | 11 |
| „კუზბასი" (კემეროვო) | 10 | 5 | 1 | 4 | 12—14 | 11 |
| „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) | 9 | 4 | 1 | 4 | 15—15 | 9 |
| „პამირი" (დუშანბე) | 10 | 3 | 2 | 5 | 10—13 | 8 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 10 | 3 | 2 | 5 | 6—14 | 8 |
| „სტროიტელი" (აშხაბადი) | 10 | 2 | 3 | 5 | 10—14 | 7 |
| „მეტალურგი" (ლიპეცკი) | 9 | 2 | 3 | 4 | 7—11 | 7 |
| „ყუბანი" (კრასნოდარი) | 9 | 1 | 4 | 4 | 10—17 | 6 |
| „სპარტაკი" (ივანო-ფრანკოვსკი) | 9 | 1 | 3 | 5 | 7—10 | 5 |
| „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) | 9 | 0 | 4 | 5 | 7—15 | 4 |
| „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) | 9 | 1 | 1 | 7 | 8—17 | 3 |

# ბრაზილიური სტილის გუნდი

აფრიკის ოცდაოთხმა ქვეყანამ მიიღო მონაწილეობა წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ შეჯიბრებებში. ეს მაშინ, როცა წინა ასეთსავე ასპარეზობაში მხოლოდ ათი გუნდი თამაშობდა. შესარჩევ ტურნირში გამარჯვებით ზაირის გუნდმა ბევრი სპეციალისტი გააკვირვა. ამავე დროს იგი „შავი აფრიკის" პირველი წარმომადგენელია მსოფლიო პირველობის ფინალში.

ზაირის ფეხბურთელები, ისევე როგორც აფრიკის გუნდების უმეტესობის მოთამაშეები, ბრაზილიურ სტილს მისდევენ. მოწინავე ფეხბურთელებს ბევრი უმუშავიათ ოსტატობის სრულყოფისთვის. ახლა, მაგალითად, ბევრი მათგანი უკვე შესანიშნავად თამაშობს თავით, რასაც დღეს საერთაშორისო ფეხბურთში დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ზაირის ვარსკვლავები სიმარდით გამოირჩევიან, მაგრამ ყველა მოყვარულია, ამასთან, ახლანდელი ნაკრების წევრებიდან აფრიკის ფარგლებს გარეთ ჯერ არც ერთს არ უთამაშია (ამჟამად ზაირის ნაკრები ევროპაში ატარებს ტურნეს — რედ.). ასე რომ, გუნდი არ არის მაინცდამაინც ძლიერი. მაგრამ, ასეა თუ ისე, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის საგზურის მოპოვებისთვის მთავრობამ ეროვნული ნაკრები გუნდის ყველა წევრი მანქანითა და სახლით დაასაჩუქრა.

ზაირის ყველაზე ცნობილი ვარსკვლავია ცენტრალური მცველი ბვანგა (ყველა მოთამაშე იქ სახელითაა ცნობილი). იგი აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.

აღნიშვნის ღირსია კიდევ ორი მოთამაშე: თავდამსხმელი კემბო და ნახევარმცველი კიბონგე. კემბოს ორივე ფეხით თავისუფლად გააქვს გოლები, ხოლო კიბონგე ნამდვილი სტრატეგია. იგი განსაკუთრებით კარგად ფლობს ბურთს, თუმცა ფიზიკურად საკმაოდ სუსტია. როგორც ნაკრების ყველაზე „ხნიერ" მოთამაშეს, თანაგუნდელები მას „მისტერს" ეძახიან, რაც „უფროსს" („ბოსს") ნიშნავს.

ზაირს მონაწილეობა არ მიუღია 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ შეჯიბრებაში, თუმცა 1967 წელს აფრიკის ჩემპიონი გახდა, როცა ფინალში განის ნაკრები დაამარცხა — 1:0. იმ დროს განას ორჯერ ჰქონდა მოპოვებული აფრიკის ჩემპიონობა და ფეხბურთში „შავი კონტინენტის" ყველაზე მოწინავე სახელმწიფოდ ითვლებოდა.

შარშან კი ზაირმა კვლავ აჯობა განას: ზაირის ჩემპიონმა „ვიტამ" აფრიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალში ორი მატჩის ჯამში დაამარცხა განის ჩემპიონი „აშანტი კოტოკო" — 5:4.

პროგრესი დააჩქარა იმან, რომ 1970 წლის დამლევს ზაირის ფეხბურთის ასოციაციამ გადაწყვიტა მოეწვია მწვრთნელი, რომელმაც მაროკოს ეროვნული ნაკრები მექსიკის მსოფლიო პირველობის თექვსმეტ ფინალისტს შორის გაიყვანა.

გუნდის მწვრთნელი ბლაგოე ვიდინიჩი იუგოსლავიის ნაკრების ყოფილი მეკარეა. იგი ზაირში მიიწვიეს რამდენიმე მატჩის ჩანახავად, რათა გადაეწყვიტა, მიეღო თუ არა ოფიციალური წინადადება. ნანახმა მატჩებმა მომავალ მწვრთნელზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. იმ დღეს, როცა ნაკრებთან სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, მან თქვა: „ზაირი ოქროს საბადოსავითაა. იგი სავსეა ტალანტებით".

ამის შემდეგ მალე, 1971 წლის დასაწყისში, საფრანგეთის ჩემპიონმა „სენტ-ეტიენმა" ზაირში სკაუტი გაგზავნა. „დაზვერვის" შედეგად კლუბმა თავის პროფესიულ გუნდში გადასვლა შესთავაზა სამ ახალგაზრდა ფეხბურთელს (ახლა სამივე ეროვნული ნაკრების ვარსკვლავია) — ბვანგას, მაიანგას და კაკოკოს.




მაგრამ ეს მოთამაშეები წინადადებას ვერ მიიღებდნენ, ვინაიდან ცხრა წლით ადრე ზაირის მთავრობამ ამ ქვეყნის ფეხბურთელებს ევროპაში თამაში აუკრძალა. ახლა მთავრობა ფეხბურთელებს დაჰპირდა, რომ, თუ ზაირის გუნდი დასავლეთ გერმანიაში თავის რეპუტაციას არ შელახავს, იმ მოთამაშეებს, რომლებიც მიწვევას მიიღებენ, გადასახადის გარეშე მისცემენ წასვლის ნებას.

ქვეყნის ეროვნული ნაკრების კარგ თამაშს ისიც უწყობს ხელს, რომ ზაირში თანდათან იზრდება ფეხბურთისადმი ინტერესი. უკვე ორ ქალაქში — კინშასაში და ლუბუმბაშში არის სტადიონები, რომლებიც 70 ათას მაყურებელს იტევს.

ტერი ბაშელი.

## გუნდის შემადგენლობა

ძირითადი მოთამაშეები: კაზადი მვამბა („მაზემბე"), მვეპუ ილუნგა („მაზემბე"), ლობილა ბობა („ვიტა"), ბვანგა ტშიმენი („მაზემბე"), მუკომბო მება („მაზემბე"), კიბონგე მაფუ („ვიტა"), მანა მამბვენა („იმანა"), კიდუმუ მანცანტუ („იმანა"), მაიანგა მაკუ („ვიტა"), კემბო უბა კემბო („ვიტა"), კაკოკო ეტეპე („იმანა").

(კაზადი მვამბა და ბვანგა ტშიმენი, აგრეთვე, მვეპუ ილუნგა და მუკომბო მება ძმები არიან).

(„მორნინგ სტარი", ლონდონი).




## 2:0

ფლორენცია, 31 მაისი. ევროპაში ტურნეს ატარებს მსოფლიო პირველობის ფინალისტი, არგენტინის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი. ჰოლანდიიდან არგენტინელები იტალიას ესტუმრნენ და შეხვედრა ჰქონდათ „ფიორენტინასთან". სტუმრების ტერიტორიული უპირატესობის მიუხედავად, დაწინაურდნენ იტალიელები (38-ე წუთზე ბურთი გაიტანა სპეჯიორინიმ). 87-ე წუთზე დეზოლატიმ ანგარიში ორამდე გაზარდა. შეხვედრას დაესწრო 26 ათასი მაყურებელი.

## 1:1

სტრასბურგი, 31 მაისი. მსოფლიო ჩემპიონები, ბრაზილიელი ფეხბურთელები საფრანგეთის ამ ქალაქში შეხვდნენ ადგილობრივ გუნდს „სტრასბურგს". მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1. ანგარიში 37-ე წუთზე გახსნა მასპინძელმა ვაგნერმა. მხოლოდ მე-60 წუთზე შეძლეს ბრაზილიელებმა დამარცხებისგან თავის დაღწევა. საპასუხო გოლი გაიტანა ცეზარმა.

## 2:0

სოფია, 31 მაისი. ბულგარეთის ეროვნულმა გუნდმა განმეორებითი შეხვედრა გამართა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებთან. მასპინძლებმა კვლავ გაიმარჯვეს — 2:0.

## ფრთოსანთა ოლიმპიადა

საერთაშორისო ოლიმპიური ტურნირები აქვთ არა მარტო სპორტსმენებს, არამედ ფრთოსნებსაც, კერძოდ, კანარის ჩიტებს. ბოლო ასეთმა შეჯიბრებამ თავი მოუყარა რამდენიმე ათას ჩიტს. ხოლო ფინალში, რომელიც სინგაპურში უნდა გაიმართოს, გავიდა 100 საუკეთესო „სოლისტი".

ფინალში იმსაჯებს ოთხი გამოჩენილი არბიტრი-სპეციალისტი, რომლებსაც უნაკლო სმენა და დიდი მოთმინება აქვთ. ისინი გამოავლენენ ოლიმპიურ ჩემპიონებს.

## რივას 250 მატჩი

ცნობილმა იტალიელმა სნაიპერმა ლ. რივამ ამას წინათ საიუბილეო, 250-ე მატჩი ითამაშა იტალიის I ლიგაში, ამასთან ყველა — „კალიარის" შემადგენლობაში. ამ რიცხვს ბევრმა იტალიელმა ფეხბურთელმა გადააჭარბა, მაგრამ რივას სხვა რეკორდი აქვს დამყარებული — 250 მატჩში მან 143 გოლი გაიტანა.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

# სანამ გონგი დუმს

კიევი, 31 მაისი. უკრაინის დედაქალაქი ზაფხულის მზიანი დარითა და ხასხასა მწვანე სამოსელით შეხვდა ევროპის იუნიორ მოკრივეთა ჩემპიონატის მონაწილეებსა და სტუმრებს. შაბათ საღამოს ტურნირის გახსნის ცერემონიის შემდეგ ბრძოლაში ჩაებმება ავსტრიის, ინგლისის, ბულგარეთის, უნგრეთის, გდრ-ის, ირლანდიის, იტალიის, პოლონეთის, რუმინეთის, სსრ კავშირის, თურქეთის, ფინეთის, საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიის, შვეციის, შოტლანდიისა და იუგოსლავიის 115 ათლეტი.

დღეს მოეწყო კენჭისყრა. მას ხელმძღვანელობდნენ ევროპის სამოყვარულო კრივის ასოციაციის პრეზიდენტი ნ. ნიკოფოროვ-დენისოვი, რომელიც შეჯიბრების ჟიურის ჩაუდგა სათავეში, ვიცე-პრეზიდენტები და აღმასკომის წევრები.

იუნიორთა წინა პირველობაში, რომელიც 1972 წლის ივნისში ჩატარდა ბუქარესტში, საბჭოთა მოკრივეებმა ყველაზე მეტი — 9 მედალი მოიპოვეს. აქედან 6 ოქროსი იყო. სსრ კავშირის წლევანდელ ნაკრებში იმ შემადგენლობიდან არც ერთი კაცი აღარ დარჩა. ახლა გუნდში არიან (წონითი კატეგორიების მიხედვით): ა. ტკაჩენკო (დონეცკი), გ. რიბაკოვი (მაგადანი), ფ. პაკი (ანდიჟანი), ვ. სოროკინი (ნოვოტროიცკი), ვ. დიმასოვი (უფა), ნ. სიგოვი (ლენინგრადი), მ. ბიჩკოვი (მოსკოვი), ვ. დამშინი (ნოვოკუიბიშევსკი), ა. კრუპინი (კოსტრომა), მ. კრუცი (ფრუნზე), ს. პლისოვი (ლენინგრადი). მათგან შვიდ მოკრივეს ქვეყნის ახალგაზრდულ პირველობაში გამარჯვება აქვს მოპოვებული. მონაწილეთა საშუალო ასაკია 18-19 წელი.

— ბიჭები ამ შეჯიბრებისთვის გულმოდგინედ მოემზადნენ, — ამბობს გუნდის მწვრთნელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ა. ჩებოტარიოვი. — ბევრი უკვე თითქმის ხუთი წელია კრივში მეცადინეობს. ზოგიერთს საერთაშორისო შეხვედრებშიც მიუღია მონაწილეობა. მაგალითად, 18 წლის ბიჩკოვი ევროპის უფროსი ასაკის მოკრივეთა პირველობაში გამოდიოდა. პაკი შარშან დამაჯერებლად გამოვიდა ლენინგრადის ტრადიციულ ტურნირში, სადაც მხოლოდ ევროპის პირველ ხელთათმანთან, ფრანგ ალდო კოსენტინოსთან წააგო. 19 წლის დამშინმა ამ ცოტა ხნის წინათ სოფიაში ყველას აჯობა უფროსთა ტურნირში, სადაც დაამარცხა ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი პეტერ ტიპოლდი (გდრ).

ევროპის იუნიორთა ჩემპიონატმა, სადაც მონაწილეთა ასაკი 20 წელს არ აღემატება, შეცვალა კონტინენტის თასის გათამაშება ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდებს შორის. რინგის საბჭოთა ოსტატები ამ პრიზის უცვლელი მფლობელნი არიან.

ახალი შეჯიბრების პრემიერა უნგრეთის ქალაქ მიშკოლცში მოეწყო 1970 წელს. მეორე ტურნირი ბუქარესტში ჩატარდა 1972 წელს.

კიევის ასპარეზობა ხელს შეუწყობს იმ ათლეტთა გამოვლენას, რომლებმაც შეიძლება მონაწილეობა მიიღონ პირველ მსოფლიო ჩემპიონატში (17-30 აგვისტო, ჰავანა). მაგრამ მთავარი მიზანი, რა თქმა უნდა, 1976 წლის ოლიმპიადის სარბიელზე გამოსვლაა.

ს. გელოვი,
ჰ. ხაჩკოვანიანი.
(საკდესის კორ.).

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

1. სკკპ ისტორიისა და მეცნიერული კომუნიზმის საფუძვლების კათედრის გამგე — 1 ერთეული (პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი);

2. სამთო-სათხილამურო სპორტის, ალპინიზმისა და ტურიზმის კათედრის გამგე — 1 ერთეული.

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან გამოცხადებისა. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის კადრების განყოფილებაში ყოველდღე, 9-დან 16 საათამდე.

ინსტიტუტის მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. № 49. ტელეფონი: 22-81-60, 22-00-76.

ИНДЕКС 66448 — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. — უე 04608